

## ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა                                                                       | 31/12/2024 | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|---------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 98806      | 10576      | 441        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 1361908    | 1523808    | 1125696    |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 224861     | 43844      | 1109561    |
| მარაგები                                                                                    | 199965     | 271258     | 590885     |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0          | 0          | 0          |
| სხვა                                                                                        | 199965     | 271258     | 590885     |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 0          | 0          | 0          |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 0          | 0          | 0          |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 4880549    | 4091572    | 3367571    |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0          | 0          | 0          |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 0          | 0          | 0          |
| სულ აქტივები                                                                                | 6766089    | 5941058    | 6194154    |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |            |            |            |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 0          | 0          | 0          |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 0          | 14451      | 183771     |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 0          | 0          | 0          |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 0          | 0          | 746474     |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0          | 0          | 8364       |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 3349038    | 1854932    | 2294329    |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0          | 0          | 0          |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 22011      | 0          | 0          |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 3371049    | 1869383    | 3232938    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |            |            |            |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 12000      | 29263      | 24200      |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0          | 0          | 0          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 3383040    | 4042412    | 2937016    |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0          | 0          | 0          |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 3395040    | 4071675    | 2961216    |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 6766089    | 5941058    | 6194154    |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 1885540    | 1849486    | 2826583    |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 22011      | 14451      | 0          |

**საქმიანობის შედეგები**

**საქმიანობის შედეგები**

**31/12/2024 31/12/2023**

|                                          |          |          |
|------------------------------------------|----------|----------|
| ნეტო ამონაგები                           | 5380863  | 7296458  |
| საქონლის გაყიდვიდან                      | 0        | 0        |
| მომსახურების გაწევიდან                   | 5380863  | 7296458  |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან             | 0        | 0        |
| სხვა                                     | 0        | 0        |
| გაყიდვების თვითღირებულება                | -2859419 | -4767200 |
| საწყისი მარაგები                         | 0        | 0        |
| საბოლოო მარაგები                         | 0        | 0        |
| საერთო მოგება                            | 2521444  | 2529258  |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი               | 0        | 0        |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -1241021 | -885521  |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | -1220137 | -818314  |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 21778    | 1500     |
| საპროცენტო ხარჯი                         | -2652662 | -216046  |
| იჯარის ხარჯი                             | -10000   | -51538   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -203648  | -230739  |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -5305690 | -2200658 |
| საოპერაციო მოგება                        | -2784246 | 328600   |

**გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:**

|                                                    |          |         |
|----------------------------------------------------|----------|---------|
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0        | 0       |
| მიღებული დივიდენდები                               | 0        | 0       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)            | 0        | -119952 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის              |          |         |
| ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან                 | -2784246 | 208648  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                          | 0        | 0       |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი             | -2784246 | 208648  |

**სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):**

|                                                                                                                     |          |         |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|---------|
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი                                         | 0        | 0       |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                                                              | 0        | 0       |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                                                                 | -2784246 | 208648  |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                                                 | 4071675  | 2961216 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 0        | 0       |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                      | -189195  | -341440 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                                                               | 2296806  | 1243251 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                                                           | 0        | 0       |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                                                      | 3395040  | 4071675 |

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

**31/12/2024    31/12/2023**

|                                                                                                        |              |              |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------|--------------|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | 88230        | 10135        |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0            | 0            |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0            | 0            |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | 88230        | 10135        |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0            | 0            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 10576        | 441          |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                              | <b>98806</b> | <b>10576</b> |

**შპს ა.მ.ბ. სნ 404381307** -ის ფინანსური ანგარიშგება  
გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია    2025 წლის 30 ივლისს

დირექტორი:



# ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ა.მ.ბ. სს 404381307

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას; იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, თბილისი, უზნაძის ქ. N4; საწარმო რეგისტრირებულია 2010 წლის 23 აპრილს; მისი საქმიანობა, ძირითადად უკავშირდება სატვირთო და საგზაო ტრანსპორტით მომსახურებას; საწარმოს დირექტორი და დამფუძნებელია (100%) ჰასან ბაირაქტარი; კომპანიას არ გააჩნია არც კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო და არც მეკავშირე საწარმო;

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს, და ასევე განმარტებით შენიშვნებს.

## 3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან

ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშებში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

**3.1 ამონაგების აღიარება**

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

| საქმიანობის შედეგები      | 12/31/2024 | 12/31/2023 |
|---------------------------|------------|------------|
| ნეტო ამონაგები            | 5380863    | 7296458    |
| მომსახურების გაწევიდან    | 5380863    | 7296458    |
| სხვა                      | 0          | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება | -2859419   | -4767200   |
| საერთო მოგება             | 2521444    | 2529258    |

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: 1. საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; 2. მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და 3. შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება

**3.2 სავაჭრო მოთხოვნები; სავაჭრო ვალდებულებები;**

სავაჭრო მოთხოვნები; მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

| ფინანსური მდგომარეობა                                       | 12/31/2024 | 12/31/2023 |
|-------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 98806      | 10576      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 1361908    | 1523808    |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 224861     | 43844      |
|                                                             |            |            |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 0          | 14451      |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 0          | 0          |

**სავაჭრო ვალდებულებები:** მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

#### სესხები

| ფინანსური მდგომარეობა           | 12/31/2024 | 12/31/2023 |
|---------------------------------|------------|------------|
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 0          | 0          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 3349038    | 1854932    |

**3.3 ძირითადი საშუალებები:** ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა, საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვეთა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

| ფინანსური მდგომარეობა | 12/31/2024 | 12/31/2023 |
|-----------------------|------------|------------|
| ძირითადი საშუალებები  | 4880549    | 4091572    |

#### 3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

| ფინანსური მდგომარეობა | 12/31/2024 | 12/31/2023 |
|-----------------------|------------|------------|
| მარაგები              | 199965     | 271258     |
| სხვა                  | 0          | 0          |

**3.5. მარაგის შეფასება** ხდება თვითღირებულებასა და გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

**3.6 იჯარა:** იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ასევე, ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

#### 3.7 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები და სხვა დანახარჯები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, ისევე როგორც ყველა სხვა დანახარჯები, რომლებიც მიღებულია საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი; საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

| საქმიანობის შედეგები                     | 31/12/2023 | 31/12/2022 |
|------------------------------------------|------------|------------|
| ამონაგები საქონლის გაყიდვიდან            | 5380863    | 7296458    |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -1241021   | -885521    |
| ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი                | -1220237   | -818314    |
| საპროცენტო ხარჯი                         | -2652662   | -216046    |
| იჯარის ხარჯი                             | -10000     | -51538     |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -203648    | -230739    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -5327568   | -2200658   |
| საოპერაციო მოგება/ზარალი                 | -2784246   | 328600     |
|                                          |            |            |

### 3.8 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა;

**4. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი;** საწარმოში მოგების გადასახადის ხარჯად აღიარდება განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კრძეხით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით

განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

**შპს ა.მ.ბ. № 404381307** -ის ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად  
ხელმოწერილია 2025 წლის 30 ივლისს

დირექტორი: